ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

19.09.2014 №169

თბილისი

სტუ-ს ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის
ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2014 წლის 15 სექტემბრის №78 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2014 წლის 22 სექტემბერს და დასრულდეს 2014 წლის 17 ოქტომბერს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. (მის: სანდრო ეულის 5 ტელ: 218 76 33), 11 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2014 წლის 25 ოქტომბრისა.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიცილურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტემენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. სახეთა ამოცნობის გამოყენებითი სისტემების განყოფილების უფროსი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) -1 საშტატო ერთეული
2. სახეთა ამოცნობის გამოყენებითი სისტემების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი -0,5 საშტატო ერთეული
3. სახეთა ამოცნობის გამოყენებითი სისტემების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი -1 საშტატო ერთეული
4. სახეთა ამოცნობის გამოყენებითი სისტემების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი -1 საშტატო ერთეული
5. სახეთა ამოცნობის გამოყენებითი სისტემების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი -0,5 საშტატო ერთეული
6. სახეთა ამოცნობის გამოყენებითი სისტემების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი -0,5 საშტატო ერთეული
7. სახეთა ამოცნობის გამოყენებითი სისტემების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი -1 საშტატო ერთეული
8. მათემატიკური კიბერნეტიკის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი -1 საშტატო ერთეული
9. სტოქასტური ანალიზისა და მათემატიკური მოდელირების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი -0,5 საშტატო ერთეული
10. სტოქასტური ანალიზისა და მათემატიკური მოდელირების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი -0,5 საშტატო ერთეული
11. სტოქასტური ანალიზისა და მათემატიკური მოდელირების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
12. სტოქასტური ანალიზისა და მათემატიკური მოდელირების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
13. ბიოკიბერნეტიკული სისტემების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული
14. გამოთვლითი ტექნიკის ელემენტებისა და ნანომასალების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
15. გამოთვლითი ტექნიკის ელემენტებისა და ნანომასალების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
16. გამოთვლითი ტექნიკის ელემენტებისა და ნანომასალების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
17. გამოთვლითი ტექნიკის ელემენტებისა და ნანომასალების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
18. ოპტიკურ-ქიმიურ კვლევათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
19. ოპტიკურ-ქიმიურ კვლევათა ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
20. ოპტიკურ-ქიმიურ კვლევათა ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
21. ოპტიკურ-ქიმიურ კვლევათა ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული

- სამეცნიერო ქვედანაყოფის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი
- მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი
- უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი
- მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი მაინც.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:
- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია;
- დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (სამეცნიერო ქვედანაყოფის ხელმძღვანელისთვის და მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის აუცილებელია);
- გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
- პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების და გამოყენების აქტების ჩამონათვალი (სასურველია);
- სამეცნიერო ქვედანაყოფის განვითარების ხედვა (მხოლოდ სამეცნიერო ქვედანაყოფის ხელმძღვანელისთვის)